| იხილეთ ზედა ფოტო | მომგებიანი გათამაშება 7 | სურდო 5 | მეორე არხის ყოფილი ხელმძღვანელი 8 | გაბატონებული ჩაცმულობა 4 | ქალის „მთავარი“ პროფესია 10 | კიევი მისი დედაქალაქია 7 | შინაურის საპირისპირო 7 | ფრანგი მათემატიკოსი ჟოზეფ (....) 7 | იხილეთ ფოტო, რა ჰქვია ასეთ სურათს? 5 | პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა 6 | ფრანგი მხატვარი, დადაისტი 7 | ბალახოვანი შხამიანი მცენარე 7 | ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 4 | დამნაშავე 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| როგორი სასიძოა ერთ ფილმში 12 | | სახელმწიფოს დამოუკიდებლობა 12 | | ობობის მეორე სახელი 7 | ბრიჯიტ (....) 5 | | ასკეტი 4 | | ფინური აბანო 5 | | ბატონი კლინტონი 4 | | წერტილოვანი ლაქა კანზე 4 | |
| | | | | | | | იაპონური ლექსი 5 | | | | | | | |



- ბრმად მიღებული დებულება 5
- (....) მიულერი გერმანელი ფეხბურთელი 4
- „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა......“ 4
- „ქარიშხლის“ მთავარი პერსონაჟი 8
- ჰომეროსის ქმნილება 6
- ასეთი ბანკიც არსებობს 7
- სიცხიანის წამალი 4 | რუსი მხატვარი 6
- (....) კეროლი 4
- მუშაობის ერთეული 4 | კოსმოსური ხომალდი 6
- ცხოვრების ერთ-ერთი ხანა 6
- თეტრის კოლექტივი 4 | აკრძალვა 4
- ფუტკრის ფრენისას გამოცემული ხმა 6
- ერთგვარი მინერალი 5
- 56-ე ქიმიური ელემენტი 7
- კარგად მოსიარულე ცხენი 5 | თანრიგი 5
- სიკო დოლიძის ფილმი 7
- ერთგვარი სირაქლემა 5 | ალამი 5
- კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღოლი 7
- შინაური ფრინველი 4 | დიდი გერმანელი კომპოზიტორი 4
- ანალოგიური 8
- „ბინგოს“ ჩვენებური სახელი 4 | წითელი ფერის ქვა 4
- დაბა ზესტაფონის რაიონში 8



ცნობილი მულტფილმის პერსონაჟი

| ალამი 5 / სადაურია მიგელ ანხელ ასტურიასი? 11 | სოფელი ბორჯომის რაიონში 5 | ალექსანდრე მოკლედ 5 / აბელ (....) 7 / მორმონების შტატი 4 | პროფესიული ხერხების ერთობა 7 | კახეთის ამაოხრებელი შაჰი 5 / მიწის ნაკვეთი ლათ. ამერ. 5 / სასროლეთი 4 | რთულყვავილოვანთა წარმომადგ. 6 / სხვისი მინდობა 5 | იხილეთ ფოტო / (...) ისაკაძე 5 | გერმანიის ქალაქი 4 / პატარა თევზი 7 | ოთხკუთხა ძელი 6 / (....) კლაუსი 5 | ნიგერის დედაქალაქი 6 / პიერ (....) მსახიობი 6 | ილია (....) რუსი მხატვარი 6 / ლობიოს ჯოხი 4 | „თოვლიანი მთა“ აფრიკაში 11 / (....)-ბალი 4 | ღრმა ხეობა 7 / ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი 7 | მალის დედაქალაქი 6 / (....) ზღვაური 4 | სამორინე 6 / ცურვის სტილი 5 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | |
|---|---|
| (...) ღურწკაია 5 | პოეზიის სახეობა 6 |
| მიანმას ყოფილი სახელი 5 | |
| ქალაქი უკრაინაში 5 | გარეული მსხალი 5 |
| ფერთა გამა 7 | |
| ჰაერში 78%-ია 5 | ხაზს უხდება 5 |
| ზინედინ (....) 6 | |
| ირან-აზერბაიჯანის საზაზღვ. მდინარე 6 | სიმსივნე 5 |
| „ღალატის“ მთავარი პერსონაჟი ქალი 7 | |
| ცენტრალური ამერიკის ქვეყანა 6 | ცხოველთა მეფე 4 |
| ღვარად წამოსული დამდნარი თოვლი 7 | |
| ექვსსიმიანი საკრავი 6 | |
| აპია მისი დასავლეთი ნაწილის დედაქალაქია 5 | |
| (....) მარაბდელი 6 | ღვინის სათავსო 6 |
| სარწმუნოება 5 | |
| დადგენილი საზომი 7 | მინდორი შეიძლება იყოს 6 |
| (....)-ლამა 5 | ელექტრო ხელსაწყო 4 |
| მექანიკური საკრავი ყუთი 8 | სიძველის სუნი 5 |
| გოგონები მას თმის შესაკრავად ხმარობენ 5 | |
| ყალმუხეთის დედაქალაქი 6 | |
| ქვეყანა აპენინებზე 6 | |
| კომპიუტერული ქსელი 8 | |
| ფსკვნილი 6 | |



**ვერტიკალურად:**

- ქაობისპირას მცხოვრები ფრინველი — 6
- მუსოლინი — 4; სოხუმი აფხაზურად — 4; ციტრუსი — 7
- არემარე — 6; იაპონური მანქანა — 6
- დედამიწის ელი — 4; ფლორენციის მდინარე — 4; პიკასოს სტილი — 7
- სტალონეს ფილმი — 5; ესკიმოსების ქოხი — 4
- კომისარი-დეტექტივი — 5; 1-ლი მფრინავი — 5; დიდი კომედიოგრაფი — 7
- ცუდი თვისება ასეთია — 8
- ნორმისაგან გადახრა — 8; ფინეთი ფინურად — 5
- (.....) ვესკი — 3
- გაიხსენეთ ამ მშვენიერი ქალბატონის სახელი და გვარი
- მიამიტი — 5
- წინასწარი გეგმა — 8; თბილისის უბანი — 4
- სხვა სიტყვის მსგავსი სიტყვა ფორმით — 7
- მწერალი ასეთიცაა — 10
- სვანური საგალობელი — 5

**ჰორიზონტალურად:**

- კომკავშირი – რუსულად — 9
- ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო — 4
- ძაღლის მოსაფერებელი სიტყვა — 4
- ხილის ფაფა — 4
- თავის ნაწილი — 4
- მძლეოსანთა ინვენტარი — 5
- ჩეხეთის ქალაქი — 4
- რუსეთის ქალაქი — 6; ამერიკ. მწერალი — 2
- იხილე ზედა ფოტო რა ჰქვია ამ მსახიობს („კასანდრა“ გახსოვთ?) — 7
- კომედიის მუზა — 5
- ძვ.რუსი ფეხბურთელი — 8; ფიროსმანის როლშია — 6
- ბერძნული ანბანის ასო — 4
- ვა-ბანკი — 5
- პატარა ბორცვი — 6
- ერთ-ერთი ყოფილი საბჭოური დედაქალაქი — 4
- იშვიათი რამ ან ვინმე — 7; ფილიპინ. პრეზიდენტ. 1992–98 — 6
- სომხეთის ფული — 5
- კიმ ბესინჯერის ქმარი — 8
- მოდგმა, ჯილაგი — 4; თურქი ბატონი — 6
- ნაცნობობისათვის ერთი ფუთია საჭირო — 6
- ქალის ძვ. თავსაბურავი — 7; (......) კალმანი — 4
- დიდი ბენიამონო... — 4; „თოვლის დედოფლის“ ტყვე — 3



## უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, მე-2 ტომი

**ვიზბორი** იური - რუსი პოეტი, კომპოზიტორი, ჟურნალისტი, სცენარისტი. საავტორო სიმღერის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი (1934-1984 წწ).
**ვიზე** ლეოპოლდ ფონ - გერმანელი სოციოლოგი (1876 - 1969 წწ).
**ვიზე** - კუნძული კარის ზღვაში, ეკუთვნის რუსეთის კრასნოიარსკის მხარეს.
**ვიზელი** 1) ელი - ამერიკელი მწერალი, წერს ფრანგულ ენაზე, წარმოშობით რუმინელი, 1986 წლის ნობელი პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში (დაიბადა 1928 წელს). 2) ტორსტენ ნილს - ამერიკელი ექიმი, ნეიროფიზიოლოგი, 1981 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი დ.ჰ.ჰიუბელთან და რ.უ. სპერისთან ერთად (დაიბადა 1924 წელს).
**ვიზენტალი** შიმონ - 1961 წელს ვენაში ებრაელთა სადოკუმენტაციო ცენტრის დამაარსებელი, მწერალი, მემუარისტი (დაიბადა 1908 წელს).
**ვიზერი** ფრიდრიხ - ავსტრიელი ეკონომისტი (1851 - 1926 წწ).
**ვიზინგა** - 1) მდინარე რუსეთის კომის რესპუბლიკაში, ქვემო პუზლის მარცხენა შენაკადი. 2) იხილე *დიდი ვიზინგა.*
**ვიზიონი** (გერმ.) - ადამიანის წამოსახვით, წარმოდგენით შექმნილი, არარეალური რამ. მოჩვენება.
**ვიზირება** - 1) ვიზის დადება დოკუმენტზე. 2) ოპტიკური ან კუთხსაზომი ხელსაწყოს მიმართვა, დამიზნება.
**ვიზირი** (გერმ.) - 1) მოწყობილობა ფოტოგრაფიულ ან კინოგადასაღებ აპარატზე იმის გასარკვევად, თუ სივრცის, ობიექტის რა ნაწილი მოხვდა ფირზე. 2) სამიზნე. 3) ხელსაწყო, რომლითაც იზომება თვითმფრინავის გადახრა მოცემული მიმართულებიდან ქარის გავლენით.
**ვიზიროვკა** - სოფელი თეთრი წყაროს რაიონში.
**ვიზიტი** (ფრანგ.) - მცირე ხნით ვინმესთან მისვლა, ჩვეულებრივ ოფიციალური.
**ვიზიტიორი** - ვიზიტით მისული სტუმარი.
**ვიზორი** (ლათ.) - მოძრავი ხის ჩანგალი რომლითაც დედანს ამაგრებენ და რომელიც აჩვენებს ტექსტის ასაწყობ სტრიქონს.
**ვიზუ** - დაბა ესტონეთში.
**ვიზუალური** - მხედველობით, მზერით წარმოებული.
**ვით**[1] - 1) როგორც. 2) როგორ, რანაირად.
**ვით**[2] - თანდებული; დაერთვის სახელობით ან მიცემით ბრუნვას და აღნიშნავს მსგავსებას.
**ვითარ** (ძვ.) - როგორ.
**ვითარება** - 1) მდგომარეობა, გარემოება, პირობები. 2) მსვლელობა (დროისა, ჟამისა).
**ვითარებითი** ბრუნვა - ქართული ენის გრამატიკაში რიგით მეექვსე ბრუნვა. დაირთავს -დ ან -ად ნიშნებს. პასუხობს კითხვაზე რად? იგივეა, რაც მიმართულებითი ბრუნვა.
**ვითარცა** - იგივეა, რაც როგორც.
**ვითერიტი** - მინერალი; მადანი რომლიდანაც იღებენ ბარიუმსა და მის მარილებს.
**ვითომ** - დამხმარე სიტყვა; 1) აღნიშნავს, რომ რაიმე მოქმედება, მოვლენა ისეთი არ არის, როგორადაც გვეჩვენება. 2) გამოხატავს ეჭვს, გაურკვევლობას, კითხვას.
**ვითომდა** (ვითომც, ვითომცდა) - იგივეა, რაც *ვითომ (1).*
**ვიიდუმიაე** - ნაკრძალი ესტონეთის კუთვნილ კუნძულ საარემააზე. დაარსებულია 1957 წელს.
**ვიიერბანი** - ქალაქი საფრანგეთის ქალაქ ლიონის შემოგარენში (115 ათასი).
**ვიივიკონა** - დაბა ესტონეთში.
**ვიიომი** (ვილიომი) ჟან ბატისტ - ხემიან საკრავთა ფრანგი ოსტატი (1798 - 1875 წწ).
**ვიიონი** (ვილიონი) ფრანსუა (ნამდვილი გვარი მონკორბიე ან დელოჟი) - ფრანგი პოეტი (1431/1432 - 1463 წწ).
**ვიიოსა** - იხილე *ვიოსა.*
**ვიიპური** - ქალაქ ვიბორგის ფინური სახელი 1918 - 1940 წლებში.
**ვიირალტი** ედუარდ - ესტონელი გრაფიკოსი (1898 - 1954 წწ).
**ვიკარი**[1] ბელა - უნგრელი ფოლკლორისტი, მწერალი, მთარგმნელი (1859 - 1945 წწ).
**ვიკარი**[2] (ვიკარიუსი) - 1) მართლმადიდებელ ეკლესიაში არქიელის (ეპისკოპოსის, არქიეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის) თანაშემწე ეპარქიის მართვის სისტემაში. 2) კათოლიკურ ეკლესიაში – ადრე ეპისკოპოსის, შემდეგ კი მღვდლის თანაშემწე.
**ვიკი** (ვიკა) - ძველესტონური მიწის ლიაენემაას გერმანული და შვედური სახელი.
**ვიკი** ფრიდრიხ - გერმანელი მუსიკოსი, პედაგოგი, მეწარმე (1785 - 1873 წწ).
**ვიკინგები** (ვარიაგები, ნორმანები) - 1) სკანდინაველები, რომლებიც IX-XI საუკუნეებში ევროპის ზღვებში მეკობრეობდნენ და ძარცვავდნენ არა მხოლოდ ხომალდებს, არამედ ზღვისპირა დასახლებებს და მთელ ქალაქებსაც კი (პარიზი, სევილია). 2) 1958 წელს ჰოლივუდში გადაღებული ფილმი კერკ დუგლასისა და ტონი კერტისის მონაწილეობით (რეჟ. რიჩარდ ფლეიშერი).
**ვიკინგი** - პლანეტა მარსის გამოსაკვლევი ამერიკული ორბიტალური სადგური, პირველად გაშვებულ იქნა 1975 წელს.
**ვიკო** ჯამბატისტა - იტალიელი მოაზროვნე-ფილოსოფოსი, ისტორიზმის ერთ-ერთი ფუძემ–დებელი (1668 - 1744 წწ).
**ვიკონტი** (ფრანგ.) - თავადაზნაურული ტიტული დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.
**ვიკონტისა** (ფრანგ.) - ვიკონტის ცოლი ან ქალიშვილი.
**ვიკრემასინგჰე** სუგისვარა აბეივარდენა - შრი-ლანკისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე (1901 - 1981 წწ).
**ვიკრამი** იორგ - გერმანელი პროზაიკოსი და პოეტი-მაისტერზინგერი (დაახლოებით 1505 - 1562 წწ).
**ვიკრი** უილიამ სპენსერ - ამერიკელი ეკონომისტი, 1996 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი (1914 - 1996 წწ).
**ვიქტიუკი** რომან - თეატრის რუსი რეჟისორი (დაიბადა 1936 წელს).
**ვიკულოვი** 1) ვლადიმირ - რუსი სპორტსმენი (შაიბინი ჰოკეი), მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი XX საუკუნის 60-70-იან წლებში (დაიბადა 1946 წელს). 2) სერგეი - ბალეტის რუსი მსახიობი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მოღვაწეობს სანკტ-ბეტერბურგში (დაიბადა 1937 წელს). 3) სერგეი - რუსი პოეტი (დაიბადა 1922 წელს).
**ვიკუნია** (ესპ.) - სამხრეთამერიკული ძუძუმწოვარა ცხოველი ლამების გვარისა, აქვს რბილი და წმინდა მატყლი.
**ვიკუნია მაკენა** ბენხამინ - ჩილელი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე (1831-1886 წწ).
**ვილა** (პორტ-ვილა) - წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფო ვანუატუს დედაქალაქი (20 ათასი).
**ვილა** (ლათ.) - ქალაქგარეთა სახლი ბაღით ან პარკით, მდიდრული აგარაკი.
**ვილაგოში** (ახლანდელი შირია) - ციხე-სიმაგრე და დასახლებული პუნქტი თანამედროვე რუმინეთში, სადაც 1849 წლის აგვისტოში უნგრეთის რევოლუციურმა ძალებმა კაპიტულიაცია გამოაცხადეს რუსეთის მეფის ჯარის წინაშე.
**ვილაია** - ალჟირის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული.
**ვილაიეთი** - იგივე *ილი,* თურქეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული.
**ვილანდი** 1) კრისტოფ მარტინ - გერმანელი მწერალი (1733 - 1813 წწ). 2) ჰენრიხ - გერმანელი ქიმიკოსი და ბიოქიმიკოსი, 1927 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი თ.სვედბერგთან ერთად (1877 - 1957 წწ).
**ვილანები** - შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მემამულეებზე დამოკიდებული სხვადასხვა კატეგორიის გლეხები.
**ვილანელა** (იტალ.) - იტალიური საყოფაცხოვრებო სატირის, სატრფიალო-ლირიული მრავალხმიანი სიმღერის ჟანრი XV-XVI საუკუნეებში.
**ვილანი** ჯოვანი - ფლორენციელი მემატიანე და სახელმწიფო მოღვაწე (XII საუკუნის II ნახევარი – 1348 წწ).
**ვილა-ნოვა-დი-გაია** - ქალაქი-პორტი ჩრდილოეთ პორტუგალიაში.
**ვილანოვის** კულტურა - ადრინდელი რკინის ხანის (ძვ.წ.აღ. 900-500) არქეოლოგიური კულტურა ჩრდილოეთ იტალიაში, ბოლონიის მახლობლად.
**ვილარდუენი** ჟოფრუა დე - IV ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი ბელადი, მემატიანე (დაახლოებით 1155 - დაახლოებით 1213 წწ).
**ვილარი** 1) ემილიო - იტალიელი ფიზიკოსი, მუშაობდა ელექტრობის, მაგნიტურობის და ოპტიკის სფეროში (1836 - 1904 წწ). 2) კლოდ ლუი ექტორ - საფრანგეთის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მარშალი (1653 - 1734 წწ). 3) ჟან - ფრანგი მსახიობი და რეჟისორი (1912 - 1971 წწ). 4) როზარიო - იტალიელი ისტორიკოსი (დაიბადა 1925 წელს).
**ვილდა** - სოფლების ზემო ვილდისა და ქვემო ვილდის ძველი სახელწოდება (ცხინვალის რაიონი).
**ვილდგანსი** ანტონ - ავსტრიელი პოეტი და დრამატურგი (1881 - 1932 წწ).
**ვილდე** 1) ბორის - ფრანგი მეცნიერი-ეთნოგრაფი, ანტიფაშისტიური მოძრაობის მონაწილე (1908 - 1942 წწ). 2) ედუარდ - ესტონელი მწერალი (1865 - 1933 წწ). 3) ირინა (ნამდვილი სახელი და გვარი დარია პოლოტნიუკი) - უკრაინელი წერალი ქალი (1907 - 1982 წწ).
**ვილდი** ჰაინრიხ - შვეიცარიელი ფიზიკოსი და გეოფიზიკოსი, მოღვაწეობდა რუსეთში (1833 - 1902 წწ).
**ვილდრაკი** შარლ (ნამდვილი გვარი მესაჟე) - ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი (1882-1971 წწ).
**ვილია-ნოვა-დი-გაია** - ქალაქი-პორტი პორტუგალიის დორუ-ლიტორალის პროვინციაში.
**ვილებრუკი** - იხილე *ბრიუსელ-რიუპელი.*
**ვილედი** - მდინარე რუსეთის არხანგელსკის ოლქში, ვიჩეგდის მარცხენა შენაკადი (321 კმ).
**ვილეიკა** - ქალაქი ბელორუსიის მინსკის ოლქში (30 ათასი).
**ვილევალდე** ბოგდან - რუსი ფერმწერი-ბატალისტი (1818 - 1903 წწ).
**ვილელი** ჟან ბატისტ - საფრანგეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე (1773-1854 წწ).
**ვილემიტი** (სახელი ეწოდა ჰოლანდიის მეფე ვილჰელმის პატივსაცემად) - სილიკატების კლასის მინერალი, უფეროა, ზიგჯერ თეთრი ხორცისფერი, მოყვითალო-მურა.
**ვილემსი** იან ფრანს - ბელგიელი პოეტი და ფილოლოგი (1793 - 1846 წწ).
**ვილენსკი** ზინოვი - რუსი მოქანდაკე, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი (1899 - 1984 წწ).
**ვილემსტადი** - ქალაქი-პორტი ნიდერლანდის ანტილის კუნძულების კუნძულ კიურასაოზე (125 ათასი).
**ვილვა** - მდინარე რუსეთის პერმის ოლქში, უსვის მარცხენა შენაკადი.
**ვილია**[1] 1) ფრანსისკო (ნამდვილი სახელი და გვარი დოროტეო არანგო, ცნობილია აგრეთვე პანჩო ვილიას სახელით) - გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელი მექსიკის რევოლუციის (1910-17 წწ) დროს (1877 - 1923 წწ). 2) ხოსე გარსია - ფილიპინელი პოეტი,წერს ინგლისურ ენაზე (დაიბადა 1911 წელს).
**ვილია**[2] - 1) დაბა რუსეთის ნიჟნი ნოვგოროდის ოლქში. 2) (ლიტვურად ნიარისი) მდინარე ლიტვასა და ბელორუსიაში, ნემანის (ნიამუნასის) მარჯვენა შენაკადი (510 კმ).
**ვილიაგრან გარსია** ხოსე - მექსიკელი არქიტექტორი (1901 - 1990 წწ).
**ვილია-ერმოსა** - ქალაქი მექსიკაში, ტაბასკოს შტატის ადმინისტრაციული ცენტრი.
**ვილიავერდე** სირილო - კუბელი მწერალი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე (1812-1894 წწ).
**ვილიავისენსიო** - ქალაქი კოლუმბიაში, მეტის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი.
**ვილიავისიოსა** ხოსე დე - ესპანელი პოეტი, მღვდელმსახური (1589 - 1658 წწ).
**ვილიაკა** (1917 წლამდე მარიენჰაუზენი) - ქალაქი ლიტვაში.
**ვილა-ლობოსი** ეიტორ - ბრაზილიელი კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, დირიჟორი, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის მამამთავარი (1887-1959 წწ).
**ვილიამედიანა** დე ტასის-ი-პერელტა ხუან - ესპანელი პოეტი, გრაფი (1582 - 1622 წწ).
**ვილიამსი**[1] 1) ალბერტო - არგენტინელი კომპოზიტორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე (1862 - 1952 წწ). 2) ამანსიო - არგენტინელი არქიტექტორი (დაიბადა 1913 წელს). 3) პეტრე - რუსეთში მოღვაწე თეატრის მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი (1902 - 1942 წწ).
**ვილიამსი** - მსხლის ჯიში, მისი სამშობლოა ინგლისი, საქართველოში შემოიტანეს XIX საუკუნის II ნახევარში.
**ვილიანდი** (1917 წლამდე ფელინი) - ქალაქი ესტონეთში.
**ვილიანი** (1917 წლამდე ველენი) - ქალაქი ლატვიაში.
**ვილიანუევა** კარლოს რაულ - ვენესუელელი არქიტექტორი (1900 - 1975 წწ).
**ვილიარიკა** - 1) ქალაქი პარაგვაიში, გუაირის დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი. 2) ტბა ჩილეში.
**ვილია-სისნეროსი** - დასავლეთ საჰარის ქალაქ *დაჰლას* ძველი სახელი.
**ვილიაურუტია** ხავიერ - მექსიკელი მწერალი, ლიტერატურული მოღვაწე (1903 - 1950 წწ).
**ვილიე დე ლილ-ადანი** ფილიპ ოგიუსტ მათიას - ფრანგი მწერალი (1838 - 1889 წწ).
**ვილიენა** 1) ენრიკე - კატალონიელი პოეტი, პოეზიის თეორიტიკოსი (1384 - 1434 წწ). 2) ლუის ანტონიო - ესპანელი მწერალი (დაიბადა 1951 წელს).
**ვილიმაა** იულო - ბალეტის ესტონელი მსახიობი, ბალეტმაისტერი (დაიბადა 1941 წელს).
**ვილინსკაია-მარკოვიჩი** მარია - იხილე *ვოვჩოკი მარკო.*
**ვილიომი** ჟან ბატისტ - იხილე *ვიიომი ჟ.ბ.*
**ვილიუი** - მდინარე რუსეთის კრასნოიარსკის მხარესა და იაკუტიის რესპუბლიკაში, ლენის მარცხენა შენაკადი (2650 კმ).
**ვილიუის** დაბლობი - იხილე *ცენტრალური იაკუტიის დაბლობი.*
**ვილიუისკი** - ქალაქი რუსეთის იაკუტიის რესპუბლიკაში.
**ვილიუის** პლატო - მდებარეობს შუა ციმბირის ზეგანზე, მდინარე ვილიუის აუზში, რუსეთის კრასნოიარსკის მხარესა და იაკუტიის რესპუბლიკაში.
**ვილიუის** წყალსაცავი - მდებარეობს მდინარე ვილიუიზე, რუსეთის იაკუტიის რესპუბლიკაში.
**ვილიხი** ავგუსტ - გერმანიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე (1810 - 1878 წწ).
**ვილკავიშკისი** (1917 წლამდე ვილკოვიშკი) - ქალაქი ლიტვაში.
**ვილკენი** ულრიხ - გერმანელი ისტორიკოსი (1862 - 1944 წწ).
**ვილკია** - ქალაქი ლიტვაში, მდინარე ნიამუნასზე.
**ვილკიცკის** კუნძული - 1) მდებარეობს აღმოსავლეთ ციმბირის ზღვაში, დე ლონგის კუნძულთა ჯგუფში, რუსეთის იაკუტიის რესპუბლიკაში. 2) მდებარეობს კარის ზღვაში, რუსეთის კრასნოიარსკის მხარეში.
**ვილკიცკის** სრუტე - მდებარეობს ტაიმირის ნახევარკუნძულსა და ჩრდილოეთის მიწას შორის, აერთებს კარისა და ლაპტევების ზღვას.
**ვილკოვო** - ქალაქი უკრაინის ოდესის ოლქში.
**ვილკომირი** - ლიტვის ქალაქ უკმერგეს ოფიციალური სახელი 1917 წლამდე.
**ვილკუნა** კუსტა გიდეონ - ფინელი ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე (1902 - 1990 წწ).
**ვილმანი** ოტო - გერმანელი პედაგოგი (1839-1920 წწ).
**ვილმანსტრანდი** - ქალაქ *ლაპენრანტის* შვედური სახელწოდება.
**ვილმორენი** 1) (ლევეკ დე) ანდრე (1776 - 1862 წწ). 2) ანრი (1843 - 1899 წწ). 3) ლუი (1816 - 1860 წწ). 4) მორის (1849 -1918 წწ). 5) ჟაკ - (1882 - 1933 წწ). 6) როჟე დე (1905 - 1980 წწ). 7) ფილიპ ვიქტუარ - (1746 - 1804 წწ) - ფრანგი სელექციონერები.
**ვილნევი** 1) პიერ შარლ - ფრანგი ვიცე-ადმირალი (1763 - 1806 წწ). 2) ჟაკ - კანადელი სპორტსმენი, ავტომრბოლელი, „ფორმულა 1-ის“ ჩემპიონი 1997 წელს (დაიბადა 1971 წელს).
**ვილნერი** მეირ - ისრაელის კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მოღვაწე (დაიბადა 1918 წელს).
**ვილნიუსი** (1939 წლამდე ვილნო, ვილნა) - ევროპის სახელმწიფო ლიტვის დედაქალაქი, მდებარეობს მდინარე ვილიაზე (ნიარისზე). მოიხსენიება 1323 წლიდან. 1795 წლიდან იყო რუსეთის შემადგენლობაში, 1920-39 წლებში პოლონეთის შემადგენლობაში, 1940 წლიდან ლიტვის დედაქალაქია (590 ათასი).
**ვილოკი** - დაბა უკრაინის იმიერკარპატების ოლქში.
**ვილსანდი** - კუნძულთა ჯგუფი ბალტიის ზღვაში, ეკუთვნის ესტონეთს.
**ვილსონი** - იხილე *უილსონი.*
**ვილტი** (ინგლ.) - მცენარეთა ინფექციური ჭკნობა, რაც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით; ყველაზე მეტად ავადდება ბამბა, შედარებით ნაკლებად პომიდორი, კარტოფილი, ნესვი, საზამთრო და სხვა.
**ვილქსი** (ნამდვილი გვარი ლაცისი) ევალდს - ლატვიელი მწერალი (1923 - 1976 წწ).
**ვილშტეტერი** რიჰარდ მარტინ - გერმანელი ქიმიკოსი და ბიოქიმიკოსი, 1915 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი (1872 - 1942 წწ).
**ვილჩა** - 1) ჟუდეცი რუმინეთში. 2) დაბა უკრაინის კიევის ოლქში.
**ვილჩანოვი** რანგელ - ბულგარელი კინორეჟისორი (დაიბადა 1928 წელს).
**ვილჩეკის** კუნძული - მდებარეობს ფრანც-იოსების მიწის არქიპელაგში, ეკუთვნის რუსეთის არხანგელსკის ოლქს.
**ვილცინია** ველტა (აუსმა) - ბალეტის ლატვიელი მსახიობი ქალი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი (დაიბადა 1928 წელს).
**ვილ -ვილჰელმინას** არხი - არხი ნიდერლანდში.
**ვილჰელმ I** (ჰოენცოლერნი) - პრუსიის მეფე 1861 წლიდან და გერმანიის იმპერატორი 1871 წლიდან (1797 - 1888 წწ).
**ვილჰელმ I** (დამპყრობი) - ინგლისის მეფე 1066 წლიდან (1027 - 1087 წწ).

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

22 ოქტომბრის „ფანტაზიაში“ გამოვაქვეყნებთ სპეციალურ ტალონს, რის საფუძველზეც შეგეძლებათ გააკეთოთ განაცხადი უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის მეორე ან ორივე ტომის შეძენაზე.



*ქალთა რომანი*

## სტელა ბეგუელი

**ამბავი იმისა, თუ როგორი სიყვარული შეუძლიათ ჟურნალისტებს**

dasawyisi 10 seqtembris paraskevis `fantaziaSi ibeWdeba samSabaTis da paraskevis gamoSvebebSi

ასეთ ფიქრებში გახლართულ საბრინას სხვაც ბევრი რამ გაახსენდა მამამისზე, რომელიც მამაკაცური შოვინიზმის ტიპიურ განსახიერებად მიაჩნდა... მაგრამ საბრინას არაერთხელ ჰქონდა დამტკიცებული, რომ თავად შეეძლო საკუთარი ცხოვრების მოწყობა და ესეც... - „რა გვარია? ჰო!... დემიენი“ - მალე მიხვდება, რომ საბრინას მასზე უკეთ შეუძლია წერა. მამამისმა ეს უკვე დაიჯერა, მაგრამ თავადაც გამოცდილი ჟურნალისტი, გორდი მარტინი, ამის სააშკარაოდ აღიარებას მაინც არ აპირებდა. საბრინას დედასთან გაშორების მიზეზიც ხომ ის იყო, რომ დედამ სამსახურს არ დაანება თავი და სახლში არ დაჯდა. მაშინ საბრინა ძალიან პატარა იყო და ვერ გაიგო, თუ რა მოხდა მის მშობლებსა შორის. ახლა კი, მამის დესპოტიზმი საკუთარ თავზე რომ იწვნია, გაიგო, თუ რა სატანჯველს უძლებდა დედა.

მამამ ისიც კი სცადა, რომ თავის საკუთარ გაზეთში - „ბოსიე-სიტიში“ მიეცა საბრინასთვის პატარა სვეტი, რომ გოგონას საკუთარი ნებასურვილით ეწერა, რასაც ინებებდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ასეთ ნებივრობას ვერ შეეგუა, უფრო მეტიც - შეურაცხყოფად ჩათვალა მამის ამგვარი „მზრუნველობა“ და ამიტომაც გამოექცა მას ჰიუსტონში, სადაც „ჰიუსტონ სტარის“ პატარა კოლექტივში ხალისით მიიღეს და უპატრონეს. ეს გაზეთი იმხანად საკმაოდ პოპულარული იყო მკითხველთა შორის; საბრინამ თავი არ შეირცხვინა და შესაშური ნიჭიერება გამოავლინა, რაც პირველად ჯი პი გონზალესმა დააფასა. სწორედ იგი დაეხმარა დამწყებ ჟურნალისტს იმაში, რომ ეტაპობრივად გადაელახა სიძნელენი და მცირე პუბლიკაციებიდან პუბლიცისტიკის წერაზე გადასულიყო... ამ ფიქრებში გართულ საბრინას ახლაღა გაახსენდა, რომ შიმშილის გრძნობაც დასაოკებელი ჰქონდა, თუმცა მთელ მის არსებას მაინც ამ ვიღაც დემიენის უფროსობა აღელვებდა, მას არაფრით შეეძლო იმასთან შეგუება, რომ განყოფილების ხელმძღვანელის გამოთავისუფლებულ ადგილზე დანიშნეს არა საბრინა, არამედ გარეშე პირი... „რა გვარია?! დემიენი!... ჰო, დემიენი!...“

საბრინა სენდვიჩს დასწვდა და უცებ ტელეფონმა დარეკა.

- მე ვარ - გაისმა პოლას ხმა.

- სალამი! მოხდა რამე?

- ველარ მოვითმინე და იმიტომ დაგირეკე... მაშ, დემიენი თავზე დაგასვეს?!

- ასე გამოდის! არ დაიწყო ახლა შენებურად..

წამიერი დუმილის შემდეგ კვლავ პოლა ალაქლაქდა:

- შენ ისლა დაგრჩენია აღიარო, რომ დემიენი თვალში მოსასვლელი კაცია. რამდენადაც მე ვიცი, რედაქციის ყველა ქალი ეპრანჭება.

საბრინამ გადაიკისკისა: - ჩემს გარდა, პოლა!

- თვალი გაახილე, ქალო!... შენ რა, კაცები სულ არ გიზიდავენ?!

- იცი, რას გეტყვი? - მე შენი მეთოდი, რომ ძველი სიყვარული ახლით გავიქარვო, სულაც არ მიჯდება ჭკუაში... გასაგებია?!

პოლამ ჩაიქირქილა: - მაშ, სხვა რით გავიქარვო? საბრინა, იცი, რას გეტყვი? - შენ ნამდვილი კაცი გჭირდება, ისეთები კი არა... ხომ გახსოვს?

საბრინამ მწარედ ჩაიღიმა. მამასთან ატეხილი დავიდარაბის და ერიკის მატყუარობის შემდეგ იგი თითქმის დარწმუნებული იყო იმაში, რომ ტეხასის მთელ შტატში არ მოიძებნებოდა კაცი, რომელიც სიყვარულის რწმენაში და გათხოვების აუცილებლობაში დაარწმუნებდა.

- ნამდვილი კაცები არ არსებობენ! და საერთოდ... პოლა, რაც მე „სტარში“ მოვედი, სულ იმას ცდილობ, რომ გამათხოვო... თავი დამანებე , რა!

- კარგი, დაგანებებ, მაგრამ იცოდე, დემიენთან დაკავშირებით მე არაფერ შუაში არ ვარ, ეს ბედისწერაა... კარგად!

...საბრინამ ღრმად ამოისუნთქა.

* * *

მეორე დილით წვიმდა. სახლიდან გამოსვლისას საბრინა, როგორც წესი, ამინდს ყურადღებას არ აქცევდა, რადგამ მომავალ სამუშაო დღეზე ფიქრი, სხვა საფიქრალს არ უტოვებდა. ამჯერად კი წვიმამ შეაწუხა, რადგან დემიენთან გასატარებელი მთელი დღე საამო პერსპექტივას არ უსახავდა.

ნახევარ საათის შემდეგ საბრინამ რედაქიის შენობის ქვეშ არსებულ სადგომზე გააჩერა თავისი მანქანა და კიბეებს აუყვა. დერეფანში ჯერ ბნელოდა და საბრინამ ვერ გაარკვია, თუ ვინ მოჰყვებოდა უკან, ან რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, ამ დროს რედაქციის დერეფნებში ხომ მუდამ ხალხმრავლობა იყო. მას კი უკან ვიქტორ დემიენი ასდევნებოდა, რომელიც ქალის წითელ ფეხსაცმელზე შემდგარ მაღალ ფეხებს ხარბად ათვალიერებდა, გონებით კი იმას ფიქრობდა, რომ ასეთი მიზანსწრაფული და ჩქარი სიარული მხოლოდ ისეთ ქალებს შეეძლოთ, ვინც იცის, თუ რისვის ცხოვრობს ამქვეყნად. შეიძლება არ სურდა ვიქტორს, მაგრამ მასაც არ შეეძლო იმის უარყოფა, რომ საბრინას ნამდვილად გააჩნდა ჟურნალისტური ნიჭი. მისი წერილები ძალიან მოსწონდათ მკითხველებს. მის სტილში ზედმეტი და ყალბი სკანდალურობა არასოდეს ჩანდა და ვიქტორი თვლიდა, რომ ასე წერა მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ. ვიქტორმა ერთხელაც ააყოლა თვალი ქალის ჩამოქნილ ტანფეხს და უხალისოდ წარმოთქვა: - დილა მშვიდობისა, საბრინა!

- დილა მშვიდობისა! - უპასუხა ქალმა და უკან რომ მოიხედა, ესღა გაიფიქრა - „დღეს, მგონი, ისეთი მრისხანე გამოხედვა არ აქვს“.

ქალის ეშმაკურმა ღიმილმა და მისმა მიმზიდველმა გარეგნობამ ვიქტორს ერთხელ კიდევ აფიქრებინა ის, რომ მისი თანდასწრებით ერთ ღირებულ სტრიქონსაც ვერ დაწერდა. ამასობაში ლიფტის კარიც გაიღო და ისინი სხვებთან ერთად პატარა კაბინაში ჩაიჭედნენ. ვიქტორი ისე ახლოს იდგა, რომ საბრინას თავბრუ დაეხვა. ქალს ვერაფრით გაეგო, თუ რა აღელვებდა მას, როცა ამ კაცთან ძალიან ახლოს აღმოჩნდებოდა ხოლმე. იგი უკარება არასოდეს ყოფილა, ბიჭებთანაც უმეგობრია, მაგრამ ახლა რაღაც გაუგებარი ემართებოდა. ლიფტი გაჩერდა და გამსვლელები რომ აჩოჩქოლდნენ, ვიქტორი მათმა ზეწოლამ მთლად ჩაახუტა საბრინას. ვიქტორს არ უნდოდა ამის არც აღქმა და არც შეგრძნება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა - მთელი მისი არსება წამიერად საბრინათი აივსო. მალე ლიფტი მათს სართულზე გაჩერდა და ქალი კაბინიდან ტყვიანაკრავივით გავარდა, ვიქტორი მას ფეხდაფეხ მიჰყვა. ვიწრო დერეფანში გვერდიგვერდ მავალ წყვილს ერთმანეთის შეგრძნობა-შეცნობის გაუაზრებელი ინსტიქტი ამოძრავებდა, თუმცა ფიქრების ქაოსიდან მხოლოდ საბრინამ შეძლო იმ დასკვნის გამოტანა, რომ ვიქტორს ძლიერი, დაკუნთული სხეული ჰქონდა და უცებ გაჰკრა გონებაში ფიქრმა - „ნეტავი როგორია ის სახლში, უჰალსტუხოდ და უკოსტუმოდ?“

ასეთ ფიქრები დიდი ხანი იყო, რაც საბრინას აღარ აწუხებდნენ. რაც ერიკს დაშორდა, კაცის ხსენება აღარ უნდოდა, მას შემდეგ კი სამმა წელმა განვლო. ერიკს უკვე მისი ცხოვრების მთავარი შეცდომა ერქვა. ის კაცი უბრალოდ ატყუებდა მას, რადგან მალე გაირკვა, რომ იგი ცოლიანი იყო და შვილიც ჰყავდა, თუმცა ეს ამბავი უკვე მასაც აღარ ახსოვდა და მხოლოდ მაშინ იჩენდა თავს მის წარმოსახვაში, როცა ვინმე მამაკაცი გაერაშიყებოდა. საბრინას ამ დროს ერიკის მლიქვნელი, ყალბი ღიმილი ახსენდებოდა და ყოველგვარი სატრფიალო ურთიერთობის გაბმის ხალისი ეკარგებოდა.

და აი, ამჯერადაც, საბრინას ერიკი გაახსენდა, მაგრამ ახლა უკვე მისი ხსოვნა კი არ აფრთხობდა, არამედ შედარების საფუძველს უქმნიდა, რადგან ვიქტორი დიამეტრალურად განსხვავდებოდა ერიკისგან... ყველაფრით! სანამ კაბინეტამდე მიაღწევდნენ, საბრინამ იმის გაფიქრებაც მოასწრო, უფრო სწორად საკუთარ თავს კითხვა დაუსვა - „მაინც რატომაა, რომ ეს დემიენი რედაქციაში არავისთან მეგობრობს - არც ქალთან და არც კაცთან? რა იდუმალი არსება იმალება მასში?!“

ვიქტორი კი, მისდა უნებლიედ, თვალს ვერ აშორებდა ქალს და იმასღა აცონბიერებდა, რომ მისმა მზერამ წითელ ფეხსაცმელებსა და ოქროსფერ კულულებს შორის არაერთი „ექსკურსი“ განახორციელა ზემოთ-ქვემოთ, თუმცა შინაგანი ხმა იმას ეუბნებოდა, რომ ქალის ამგვარი, ჩაცმულობა კია არა, საერთოდ გარეგნობა სამსახურში გამოცხადებისათვის სრულიად შეუფერებელია-ო.

„საბრინა ნებისმიერი მამაკაცის ოცნება შეიძლება იყოს, ჩემთვის კი ის სიცხადედ იქცა“ - გაიფიქრა ვიქტორმა და უცებ მის გულში რაღაც ეჭვის მსგავსმა გრძნობამ გაიელვა - „ასეთ ქალს, ალბათ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და ისიც ხელთათმანებივით იცვლის მათ.“ - ვიქტორი შეეცადა გაეხსენებინა, ენახა თუ არა ადრე ეს ქალი ვინმეს გვერდით, მაგრამ მალევე უარყო საკუთარი განზრახვა, რადგან იგი არასოდეს აკვირდებოდა რედაქციაში მიმდინარე მოვლენებს და არც არავის უჩერდებოდა სალაქლაქოდ და საჭორაოდ. - „როგორ შეიძლება, ასეთ ქალს პატრონი არ ჰყავდეს?! ეს შეუძლებელი!“ - ამ ფიქრებში გართულმა ვიქტორმა ერთხელაც ჩაატარა უკვე ხსენებული ექსკურსი და საბრინას ჰკითხა:

- დიდი ხანია, რაც ასეთი თქმები გაქვთ?

- რა ბრძანეთ?!

ვიქტორი მიხვდა, რომ მან კითხვა კი არ დაუსვა ქალს, არამედ საკუთარი ფიქრი ხმამაღლა გააგრძელე და ენა დაება: - თმები... აი..... ეს თქვენი თმები?

- ჩემი თმები?! - არც საბრინა იყო კარგ დღეში, მაგრამ ქალური ნებისყოფა მაინც აძლევდა იმის საშელებას, რომ მღელვარების ნაცვლად მოჩვენებითი გაოცება გამოეხატა: - თმები მე კოლეჯიდან მოყოლებული ასეთი მაქვს.... - და დაიწყო რაღაცის თხრობა, რაც არც მას აინტერესებდა და არც ვიქტორს ესმოდა....

- მაინც რატომ დაინტერესდით ჩემი თმებით?!

- თმებით? ახ... თმებით! მე, მგონი, იმდენი თმა გაქვთ, რომ ვინმეს ეგონება პარიკს ატარებსო - თქვა ვიქტორმა და თავადვე ისე მოეწონა ეს „ხუმრობა“, რომ ხმამაღლა გადაიხარხარა. მას აღარც ახსოვდა, უკანასკნელად როდის გადაიხარხარა ასე და საერთოდ შეეძლო თუ არა გულღია სიცილი; ახლა კი ისე იცინოდა, როგორც ოციოდე წლის უდარდელი ბიჭი.

„სიფხიზლე არ დაკარგო.... სიფხიზლე!“ - ამოსძახოდა შინაგანი ხმა ვიქტორს.

- მე თმაც ჩემი მაქვს და კბილებიც! - განაწყენებით ჩაილაპარაკა საბრინამ...

მათ, როგორც იქნა, კაბინეტის კარს მიაღწიეს...

*გაგრძელება სამშაბათს, 12 ოქტომბერს*



გაზეთი გაზეთში

**შევეცდებით ციტატების სახით ვბეჭდოთ რუსი ფილოსოფოსის და მწერლის ვ.ს. სოლოვიოვის თხზულება - „სიყვარულის არსი“, რომლის თარგმნას, ჩვენი აზრით, აზრი არ აქვს, რადგან თარგმანში შეიძლება ბევრი რამ დაიკარგოს**

Смысл и достоинство любви как чувства состоит в том, что она заставляет нас действительно всем нашим существом признать за другим то безусловное центральное значение, которое, в силу эгоизма, мы ощущаем только в самих себе. Любовь важна не как одно из наших чувств, а как перенесение всего нашего жизненного интереса из себя в другое, как перестановка самого центра нашей личной жизни. Это свойственно всякой любви, но половой любви по преимуществу; она отличается от других родов любви и большей интенсивностью, более захватывающим характером, и возможностью более полной и всесторонней взаимности; только эта любовь может вести к действительному и неразрывному соединению двух жизней в одну, только про нее и в слове Божьем сказано: будут два в плоть едину, т. е. станут одним реальным существом.

* * *

Задача любви состоит в том, чтобы оправдать на деле тот смысл любви, который сначала дан только в чувстве; требуется такое сочетание двух данных ограниченных существ, которое создало бы из них одну абсолютную идеальную личность. — Эта задача не только не заключает в себе никакого внутреннего противоречия и никакого несоответствия со всемирным смыслом, но она прямо дана нашей духовной природой, особенность которой состоит именно в том, что человек может, оставаясь самим собой, в своей собственной форме вместить абсолютное содержание, стать абсолютной личностью

# სიყვარული ინტერნეტში

...თითქმის შვიდი წელია ინტერნეტთან სისტემატური ურთიერთობა გაგვაჩნია; ამ დროს განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა უცხოეთშიც და ჩვენშიც... უკეთესობისკენ! კარგად მახსოვს, პირველად რომ გავხსენით ერთი ქართულენოვანი საიტი და იქიდან რაღაც ტექსტი თუ სურათი რომ გადმოვწერეთ, ამან ისეთივე ეფექტი მოახდინა ჩვენზე, როგორც იმ მაყურებელზე, ძმები ლიუმიერების გადაღებულ პირველ ფილმს - „მატარებლის შემოსვლა პარიზის სადგურზე“ - რომ უყურებდნენ და შიშით რომ გარბოდნენ დარბაზიდან - არიქა, ზედ არ გადაგვიაროსო.

ახლა ინტერნეტიდან რაგინდარა ინფორმაციის ამოღება აღარავის უკვირს და ამ „აბლაბუდათი“ სარგებლობა ისეთივე მოთხოვნილებად იქცა ახლა, ვთქვათ, პრესის მუშაკთათვის და საერთოდ ბევრისთვის, როგორც ბატონი ოთარ სეფიაშვილის დიდებული „ილუზიონის“ ყურება იყო ჩვენთვის აუცილებლობად ქცეული (...ბოლოს რომ „გოიმების ვიდეო“ დაენათლა სახელად) ან „საესტრადო პანორამა“ (... გახსოვთ?).

ამჯერად ინტერნეტის ენობრივ „დანაშაულობებზე“ არაფერს ვიტყვით (...თუმცა ეს ჩვენთვის ბევრად უფრო ცხოველმყოფელია) და ორიოდ სიტყვას იმ საიტების (Site - ინგლ. ადგილი, ადგილმდებარეობა, პოზიცია) შესახებ მოგახსენებთ, რომელთა საშუალებით ათასობით ადამიანი ეცნობა ერთმანეთს და ბევრ სასიკეთოსაც ნახულობენ ამაში. ამგვარი საიტები, როგორც წესი, უფასოა და ფართო მასების მოზიდვაზეა აგებული. თუ მათმა ფერადოვანმა და მიმზიდველმა „ინტერფეისებმა“ (Interface - ინგლ. შიდა სახე ანუ ზოგადად გაფორმება, დიზაინი), უფრო მეტად კი წინასიტყვაობამ - „პრევიუმ“ (Preview - ინგლ. პრევიუ, შეადარე „ინტერვიუ“-ს) მოგხიბლათ და თქვენს შესახებ რაიმე ინფორმაცია (ელექტრონული ფოსტის მისამართი) წამოგაცდინეს, მორჩა, აღარ დაგანებებენ თავს: ხან ანეკდოტების კრებულს გამოგიგზავნიან, ხან თქვენს რეგიონში მცხოვრები პოტენციური „საპატარძლოების“ (ქალებს - „სასიძების) სურათებს, ხან მისალოც ბარათებს და ხან რას და ხან რას გამოგიგზავნიან და ეს ყველაფერი საიმისოდ მოხდება, რომ თქვენ სადღაც გამოსახულების კუთხეში წამით გაელვებული რეკლამა წაიკითხოთ, თუმცა დავანებოთ რეკლამას თავი, ეს სხვა საუბრის თემაა.

ერთმა ასეთმა უცხოურმა კომპანიამ ჩვენც გაგვაბრიყვა და იმ ინტერესით, რომ ჩვენთვის ცნობილ ენებზე გავესაუბრებობით მსოფლიოს მოქალაქეებს, ჩვენი მისამართი წამოგვაცდენინა და მას შემდეგ მოდის და მოდის ინფორმაცია მხოლოდ იმ ჩვენებური ქალების შესახებ, რომლებსაც ინტერნეტი „ხანუმა“ ჰგონიათ. მივწერეთ: ხალხო, უცხოელებო, თქვენებურების გაცნობა გვინდა-მეთქი საუბრისთვის და ინფორმაციისთვის, მაგრამ გაგიგია?! - ისეთი გამეტებით გვიგზავნიან ფოტოებს, თითქოს დარისპანივით ოთხი ქალიშვილი ჰყოლოდეთ გასათხოვარი და ოთხივე ქართველი.

ერთი სიტყვით, ბრძენი ციციკორეს შიში გამართლდა და ამ „მატარებელმა“ ჩვენშიაც შემოიტანა ის, რასაც აგრერიგად უფრთხოდნენ ჩვენი გონიერი წინაპრები.

ეს ყველაფერი, რაც ითქვა, მხოლოდ იმ საიტებს შეეხება, რომლებიც ზნეობრივ ნორმებსაც იცავენ და კანონმდებლობასაც ანგარიშს უწევენ; მათს გარდა არსებობს ზღვის ქვიშასავით უთვალავი სხვა „სანახაობები“, რომელთა შესახებ ლაპარაკი არ ღირს.

თუმცა ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ინტერნეტის ეს „სახანუმო“ სფერო ცუდია და მიუღებელი, ის ბევრ კარგ საქმესაც აკეთებს, მაგრამ მხოლოდ გონიერი ხალხისთვის, უგნურებს კი, მოგეხსენებათ, არაფერ ეშველებათ, გინდა მექა და მედინა მოატარო; აკი თქვა ბრძენმა საადიმ:

„იესოს ვირი მექაშიაც რომ წაიყვანო,
დაბრუნდება და ვირი ისევ იქნება ვირი“.

ალ.ელერდაშვილი

- ერის ზნეობრიობა გამოიხატება იმაში, თუ როგორ პატივს სცემენ ისინი ქალებს. (ვ. ჰუმბოლდტი)

- ოჰ, ეს ქალები! თუ გინდათ, რომ მათ შორის ყველაზე გულუბრყვილომ თვალთმაქცობა ისწავლოს, კარი გამოუკეტეთ მას. (ბომარშე)

- ბუნებამ ქალი განუსაზღვრელი ძალაუფლებით დააჯილდოვა და ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ კანონი ზღუდავს მათს ზოგიერთ უფლებას. (ს.ჯონსონი)

- მას, ვისაც თავქარიანი ქალი შეჰყვარებია, უყვარს მთელი თავისი არსებით, ამგვარი სიყვარული ამტკიცებს იმას, რომ ვნება მართლაც შეუცნობი რამ არის ან იმას, რომ ეს ქალი თავქარიანი სულაც არ გახლავთ. (ლა ბრუიერი).

- ქალისადმი პატივისცემა არის ვალი, რო-

## აფორიზმები



მელსაც ყოველი ღირსეული ადამიანი უნდა ემორჩილებოდეს დღიდან დაბადების. (ლოპე დე ვეგა).

- პატიოსან კაცებს ქალები უყვართ, ყალთაბანდები აღმერთებენ მათ. (ბომარშე)

- ქალი შექმნილია იმისთვის, რომ გვიყვარდეს და არა იმისთვის, რომ გავუგოთ მას. (ოსკარ უაილდი)

## გასული ნომრის პასუხები

### მეცხრე გვერდი



### მე-10 გვერდი



### მე-11 გვერდი



### მე-12 გვერდი



### მე-14 გვერდი



### მე-20 გვერდი



### მეხუთე გვერდი

*თარაზულად:* 1. კრაკატაუ. 5. რომბოედრი. 11. ელიმინაცია. 12. ბრეზენტი. 14. ინგა. 15. ამატერასუ. 16. აგნი. 19. ნანაკი. 20. აკიტა. 21. ლარტყა. 24. აზგარდი. 25. ინდოელი. 29. კილმერი. 30. გალვანი. 34. არტემი. 35. შტრაუსი. 36. ბარი. 39. ვირი. 40. ავოკადო. 41. ბალადა. 44. დრეზდენი. 45. არმაგედონი. 46. სიცარიელე. 47. დინამიტი.

*შვეულად:* 1. კრეტიენი. 2. აბიოგენეზი. 3. აზია. 4. აიაზმა. 6. ბურუსი. 7. ელზა. 8. რენეგატი. 9. მინტაკა. 10. ვივიპარია. 13. ბრეტანი. 17. აკვარიუმი. 18. პავლოვი. 22. ადამი. 23. რომანსი. 26. პანაშვიდი. 27. არქტიკა. 28. ინკასატორი. 31. სტარტერი. 32. ბაიდარა. 33. ლიპარიტი. 37. ავანსი. 38. კაპელა. 42. იდეა. 43. კაცი.

### მეექვსე გვერდი

*თარაზულად:* 1. კუდი. 8. ლაინერი. 9. აკაკი. 10. კვორუმი. 11. არაგო. 14. ბიკინი. 17. ალატაუ. 18. რონინი. 19. აგნესა. 20. ნოსოვი. 21. ჟაკეტი. 25. კაა. 27. ბანდეროლი. 28. ბოა. 29. განიმედე.

*შვეულად:* 2. უზალა. 3. ილიკო. 4. ბიზონი. 5. ბებუთი. 6. ვიცინი. 7. გალა. 12. რელიგია. 13. გუტიერე. 14. ბურანი. 15. კანოსა. 16. ნინევია. 21. ჟაბო. 22. კენია. 23. ტვერი. 24. ბოზე. 25. კიბე. 26. აზაუ.

### მეთვრამეტე გვერდი

*თარაზულად:* 1. ლაბორანტი. 5. მარში. 11. ადიუნქტი. 12. ბრასლეტი. 14. კატა. 15. ეკჰარტი. 16. აპია. 19. ვარსკვლავი. 20. ბიბლია. 22. გრამი. 23. ლიონი. 27. დრინა. 28. კალმასობა. 32. ვასო. 33. აგუტინი. 34. ბულა. 37. ემელიანე. 38. ანტონოვი. 39. ნიკარაგუა. 40. ღილინი.







### ამავე ნომრის რეიტინგის პასუხები

*თარაზულად:* 1. ატენი. 4. ბაჯბაჯი. 10. ავტოკლავი. 11. აზაზელი. 15. ბარი. 16. ექინოკოკი. 17. აგნი. 20. რაველი. 21. ადანა. 22. ღვიძლი. 25. ანანასი. 26. უკულელე. 30. ბაიკალი. 31. ბიზნესი. 35. ბრინკა. 36. მერლინი. 37. ამაო. 40. რასა. 41. პარტახი. 42. ქერტლი. 45. ანტინოე. 46. ანტუანეტა. 47. ბოქაული. 48. პითია.

*შვეულად:* 2. ტროა. 3. ნალექი. 5. ბაზუკა. 6. ჯაზი. 7. გვირგვინი. 8. ავენიდა. 9. ბლაგიძე. 12. აბარი. 13. აკინაკი. 14. ლითიუმი. 18. კლონდაიკი. 19. ავალონი. 23. ასაკი. 24. ალბიონი. 27. კანბერა. 28. ალბერტი. 29. ასიმპტოტა. 32. ნილსენი. 33. ბლოხინი. 34. ბორიო. 38. გარონა. 39. ლეონტი. 43. ნინო. 44. ბუკი.





### მესამე გვერდი

თარაზულად: 1. აბაზია. 4. ემიგრანტი. 8. ყვარელი. 14. კავარადოსი. 15. აგიტატორი. 16. იქსი. 19. ლანუ. 20. ამატერასუ. 21. ბილირუბინი. 24. ლიბრი. 25. აბანო. 26. ავეროიზმი. 31. ალიკანტე. 32. ოსვალდი. 33. ასპექტი. 37. ასტრიდი. 38. ბრონქსი. 39. იდიომა. 43. ტალერი. 44. ემბარგო. 45. აკაფა. 46. ბოჟი. 50. დნესტრი. 51. დიალოგი. 52. ვიტამინი. 56. აღარ. 57. ასპექტი. 58. არგენტინა. 62. ავიეტი. 63. ავიტამინოზი. 64. კრება. 68. გეიზერი. 69. ალი. 70. ანდრე. 71. ასლი. 76. ილარიონი. 77. გუდაური. 78. იფიგენია. 79. მესია. 80. მიმაქანებდა. 81. მალავი.

შვეულად: 1. ასკილი. 2. ადვენტიცია. 3. ინრი. 5. მასშტაბი. 6. არგუსი. 7. ტეტე. 9. ვერგილიუსი. 10. ლექცია. 11. ადამი. 12. სტაიერი. 13. მილიცია. 17. კრონოსი. 18. გულმკერდი. 22. არტაქსერქსე. 23. ცვედანი. 27. ბაზალტი. 28. ატარი. 29. მადრიგალი. 30. ეტიოლოგია. 34. ადამო. 35. ასაკი. 36. ბასილისკო. 40. პლანტაცია. 41. ბატისტუტა. 42. აფსირტე. 47. არესი. 48. აგარანი. 49. გარნირი. 53. გაწამაწია. 54. დენვერი. 55. ბენზინი. 59. ატლეტიკი. 60. ამალგამა. 61. აბისინია. 65. აზანი. 66. არიფი. 67. ჟირაფი. 72. აარე. 73. ბულა. 74. არვე. 75. აგრა.

*შვეულად:* 2. ავიატორი. 3. ოყნა. 4. ავტოკალამი. 6. ადსო. 7. შტემპელი. 8. ვანკუვერი. 9. კრეტა. 10. მისამართი. 13. დათვი. 17. სკარონი. 18. დიონისე. 21. ლიტმანენი. 24. ბრისბენი. 25. პანტა. 26. აბდულოვი.

**15 ოქტომბერს, პარასკევს, გამოვა იტალიური კროსვორდების სპეციალური გამოშვება - 20 გვერდი - 20 იტალიური**

ი/ს „ფანტაზია-2000“
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ, № 5/1-2304
ტელეფონები:
76-68-02, (877) 45-19-80
რედაქტორი -
ალექსანდრე ელერდაშვილი
**E-mail:**
**fantaziori@hotmail.com**

## მიმართულება




## საცხოვრებელი

